



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი



KA100196504783718

12 / ნოემბერი / 2018 წ.

№ 41/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 28 სექტემბრის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესი და საგრანტო კონკურსის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-13 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის განხორციელების წესი, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს პროგრამებისა და ანალიტიკის სამმართველოს (ნ. ხაზარაძე) ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
3. დაევალოს ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველოს (ა. ბუხრაშვილი) ამ ბრძანების დაინტერესებული მხარეებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი.

საფუძველი: მთავარი სპეციალისტის (იურისტი), დ. გორგაძის 2018 წლის 10 ოქტომბრის N211/05 მოხსენებითი ბარათი.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი ჟორჟოლიანი

საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 28 სექტემბრის N40/ნ ბრძანების საფუძველზე გაცემული გრანტის ფარგლებში საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ამ წესის მიზნებისათვის:

ა) საგრანტო ხელშეკრულების მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგრანტო პროექტის მიმდინარეობისა და საგრანტო ანგარიშების შემოწმებას;

ბ) საგრანტო ანგარიში გულისხმობს საგრანტო პროექტის მიმდინარეობისა და დასრულების (სამუშაო გეგმით გათვალისწინებული პროექტის დასრულების თარიღი) შემდგომ, გრანტის მიმღების მხრიდან საგრანტო პროექტის განხორციელების შესახებ ფონდში წარდგენილ ანგარიშებს;

გ) საანგარიშო პერიოდი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ახორციელებს გრანტის ხარჯვას და საგრანტო პროექტის მიმდინარეობის ან/და დასრულების შემდგომ ფონდისათვის საგრანტო ანგარიშების წარდგენას.

მუხლი 2. მონიტორინგის მიზანი

მონიტორინგის მიზანია მიმდინარე საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ჯეროვნად განხორციელების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. მონიტორინგის სახეები

1. მონიტორინგი მოიცავს მოქმედი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის მიმდინარეობისა და განხორციელების შესახებ ნარატიული და ფინანსური ანგარიშების მონიტორინგს.

2. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშების შემოწმებას. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების პროგრამული მონიტორინგის მიზნით გრანტის მიმღები ფონდს წარუდგენს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნარატიულ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს.

3. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას მოწმდება საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი მხარე და შესრულების ხარისხი საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

5. ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯი;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი მისი გამწევის მხრიდან ექვემდებარება უკან დაბრუნებას ფონდის ანგარიშზე;

გ) გრანტის აუთვისებელ ნაწილად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება ფონდის ანგარიშზე დაბრუნებას.

6. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს ნარატიული და ფინანსური ანგარიშები საბანკო ანგარიშის ამონაწერთან ერთად.

7. მონიტორინგის განხორციელებისას, ფონდს უფლება აქვს, გრანტის მიმღებს მოსთხოვოს საჭირო დოკუმენტის, მასალისა და ინფორმაციის წარდგენა.

8. გრანტის მიმღებს არ აქვს უფლება, თავი აარიდოს გრანტის გამცემისათვის აუცილებელი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდებას, წარადგინოს მცდარი ინფორმაცია, ჩაერიოს გრანტის გამცემის საქმიანობაში ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი მას.

მუხლი 4. მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტი

1. საგრანტო ხელშეკრულების მონიტორინგს ახორციელებს ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი (შემდგომში - მონიტორინგის ჯგუფი).

2. მონიტორინგის ჯგუფში შედიან ფონდის თანამშრომლები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სპეციალისტებიც.

3. მონიტორინგის ჯგუფი მონიტორინგის შედეგებს ასახავს მონიტორინგის ანგარიშში (დანართი N1). მონიტორინგის ანგარიშში უნდა აღინიშნოს:

ა) შესაბამისი საგრანტო ხელშეკრულება და საგრანტო პროექტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მონიტორინგი;

ბ) გრანტის მიმღების ვინაობა;

გ) მონიტორინგის სახე და ფორმა;

დ) მონიტორინგის შედეგები;

ე) მონიტორინგის ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა;

ვ) მონიტორინგის ანგარიშის გაფორმების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

ზ) თითოეული მონიტორინგის ანგარიში დგება ერთ ეგზემპლარად და როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით ინახება ფონდში.

მუხლი 5. მონიტორინგის განხორციელება

1. მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს შუალედური ან/და საბოლოო მონიტორინგის ფორმით.

2. მონიტორინგი ხორციელდება გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმის საფუძველზე გასვლითი შემოწმებით, დოკუმენტური შემოწმებით ან/და სხვა ფორმით (სამიზნე ჯგუფების გამოკითხვით და ა.შ.).

3. გასვლითი შემოწმება გულისხმობს მონიტორინგის ჯგუფის წევრ(ებ)ის უფლებას, დაესწროს საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ნებისმიერ აქტივობას/ღონისძიებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, გრანტის მიმღები ვალდებულია, ფონდის მონიტორინგის ჯგუფის წევრის მოთხოვნით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარუდგინოს ნებისმიერი აქტივობის/ღონისძიების კონკრეტული გრაფიკი სამუშაო გეგმის გათვალისწინებით.

4. დოკუმენტების შემოწმება გულისხმობს გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი ანგარიშებისა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის შესწავლას.

5. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით ფონდს წარუდგინოს, ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგრანტო ანგარიშის ფორმების შესაბამისად (ნარატიული და ფინანსური შუალედური/საბოლოო ანგარიშები), საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმაში მითითებული შესაბამისი აქტივობის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით.

6. საჭიროების შემთხვევაში, შუალედური მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის გამცემის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს შუალედური საგრანტო ანგარიში.

7. საბოლოო მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, გრანტის მიმღები ვალდებულია, საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ფონდს წარუდგინოს ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგრანტო პროექტის საბოლოო ნარატიული და ფინანსური ანგარიშები ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმაში მითითებული შესაბამისი აქტივობის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

8. ამ მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე წარდგენილ ანგარიშებს გრანტის მიმღებმა უნდა დაურთოს საგრანტო თანხის ხარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია.

9. გრანტის მიმღების მიერ ამ მუხლითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფი/ჯგუფის წევრ(ებ)ი გრანტის მიმღებს ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნით განუსაზღვრავს ვადას არანაკლებ 5 სამუშაო დღისა, შესაბამისი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად ან მიმართავს ფონდის დირექტორს გრანტის მიმღების მიმართ პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ.

მუხლი 6. მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ვალდებულება

1. მონიტორინგის განმახორციელებელი მონიტორინგის ჯგუფი/ჯგუფის წევრ(ებ)ი ვალდებულია მონიტორინგის შედეგები სრულად და ობიექტურად ასახონ მონიტორინგის ანგარიშში.

2. მონიტორინგის ჯგუფი/ჯგუფის წევრ(ებ)ი ვალდებულია უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

1. გრანტის მიმღები საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს დამოუკიდებლად და მის საქმიანობაში გრანტის გამცემის ჩარევა დაუშვებელია.

2. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევად არ ითვლება ამ წესითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესებთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება.

მუხლი 8. მონიტორინგის შედეგები

1. მონიტორინგის ჯგუფი/ჯგუფის წევრ(ებ)ი მონიტორინგის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს ფონდის დირექტორს.

2. მონიტორინგის ჯგუფი/ჯგუფის წევრ(ებ)ის მიერ დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, ფონდის დირექტორი წყვეტს გრანტის მიმღების პასუხისმგებლობის საკითხს, ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესით.

3. დანაშაულის ნიშნების შემცველი მონიტორინგის მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

1. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ფონდის დირექტორი უფლებამოსილია გრანტის მიმღების მიმართ გამოიყენოს შემდეგი პასუხისმგებლობის ზომები:

ა) გაფრთხილება;

ბ) საგრანტო ხელშეკრულების შეწყვეტა და საგრანტო თანხის სრულად დაბრუნება უკან.

2. ფონდის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი გრანტის მიმღების მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. თავისი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად, ფონდი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს.

4. გრანტის მიმღების რეპუტაცია, რომელსაც ამ წესის შესაბამისად დაეკისრა პასუხისმგებლობა, მხედველობაში იქნება მიღებული შემდგომ საგრანტო კონკურსებზე.

მუხლი 10. სპეციალური რეგულირების შესაძლებლობა

1. აუცილებლობის შემთხვევაში, ფონდის დირექტორი უფლებამოსილია, დაადგინოს კონკრეტული საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის სპეციალური წესი.

2. ამ წესსა და სპეციალური კონკრეტული საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის სპეციალურ წესს შორის კოლიზიისას, გამოიყენება სპეციალური რეგულირება.

მონიტორინგის ანგარიშის ფორმა

(ივსება ფონდის მონიტორინგის ჯგუფის წევრ(ებ)ის მიერ)

| | |
|--|--|
| ორგანიზაციის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი | |
| ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტა) | |
| საგრანტო პროექტის სახელწოდება | |
| საგრანტო პროექტის მიზანი | |
| საგრანტო პროექტის განხორციელების ადგილი (მონიტორინგის განხორციელების პროცესში) | |
| განხორციელებული ეპატის აღწერა/ მიზანი | |
| საგრანტო პროექტის ეტაპით გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფის და ბენეფიციართა რაოდენობის აღწერა | |
| წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ფოტო/ვიდეო მასალა, სასწავლო კურსზე დასწრების ფურცელი და სხვა) | |
| დაფინანსებული სოციალური საწარმოს მდგომარეობა მონიტორინგის განხორციელების მომენტისთვის | |
| მონიტორინგის სახე და ფორმა | |
| მონიტორინგის შედეგები | |

საგრანტო პროექტით გათვალისწინებული განსახორციელებელი აქტივობების შესრულება

| ეტაპი | გათვალისწინებული აქტივობა | დაწყება/დასრულების თარიღი | შენიშვნა |
|-------|---------------------------|---------------------------|----------|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

მონიტორინგის ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა _____

შევსების თარიღი _____